# სქემის დამტკიცება არ არის მასწავლებლის სახლის ექსკლუზიური უფლება – პროფკავშირების პრეზიდენტი პედაგოგებს მიმართავს

17-03-2021 https://etaloni.g

**მასწავლებელთათვის პროფესიული ვალდებულებების დაწესებაზე, მასწავლებელთა მხრიდან უკმაყოფილებას პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირები ცოტა ხნის წინ გამოეხმაურა და პედაგოგებს შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმისკენ მოუწოდა. ახლა კი პროფკავშირების პრეზიდენტი მაია კობახიძე მორიგ განცხადებას ავრცელებს და აღნიშნავს, რომ პედაგოგებისგან სქემასთან დაკავშირებით სოლიდური მსჯელობის მაგივრად მასწავლებელთა სახლის დაუმსახურებელი კრიტიკა დაიწყო.**

etaloni.ge პროფკავშირების პრეზიდენტის მიერ პედაგოგებისადმი ახალ მიმართვას უცვლელად გთავაზობთ:

„ძვირფასო კოლეგებო, მიმდინარე წლის 11 მარტს, „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით“ განსაზღვრულ მასწავლებელთა პროფესიულ ვალდებულებებზე სპმთპ-ის განცხადებამ, ნაცვლად შემოთავაზებულ წინადადებებზე მსჯელობისა, არაერთგვაროვანი შეფასებები გამოიწვია.

განვმარტავ, რომ ისევე როგორც სხვა შემთხვევებში, ჩემს მიზანს წარმოადგენდა ერთად მოგვეძებნა პრობლემის გადაჭრის გზები და შესაბამისად, შემოგთავაზეთ კონკრეტული წინადადებები. სამწუხაროდ, სოლიდური მსჯელობის მაგივრად, მივიღეთ აბსოლუტურად დაუმსახურებელი კრიტიკა მასწავლებლის სახლისადმი. ალბათ არ არის საჭირო, მაგრამ მაინც მინდა შეგახსენოთ, რომ სქემის განხილვა და დამტკიცება, არ არის მასწავლებლის სახლის ექსკლუზიური უფლება. პროექტს იხილავს განათლების სამინისტროს სპეციალური კომისია, რომელშიც სამინისტროს ხელმძღვანელებთან ერთად, წარმოდგენილნი არიან ექსპერტები, არასამთავრობო ორგანიზაციები და მათ შორის მეც. როგორც თქვენთვის ცნობილია, პროექტები იგზავნება სკოლებში, პედაგოგიურ კოლექტივებში განსახილველად. საზოგადოების ფართო ჩართულობისა და განხილვების შემდეგ, სქემის საბოლოო ვარიანტს ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. პირადად მე, პასუხს ვაგებ საკუთარ ქმედებებზე.

გამომდინარე იქიდან, რომ სქემით განსაზღვრული სავალდებულო ტრენინგები ემსახურება კვალიფიკაციის ამაღლებას და უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, ყოველგვარი კრიტიკის გარეშე გავიზიარე ეს ნორმა, რაც ითვალისწინებს ერთი აკადემიური წლის განმავლობაში, 5-დღიან, 3-დღიან და 2-დღიან ტრენინგებს. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ რეფორმის მიმდინარეობის პროცესში, მასწავლებლები ვალდებულებების დაწესებასთან ერთად, ყოველთვის ითხოვდით სახელმწიფოს მხრიდან კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფას. ახალი სქემის ამოქმედებამ პრაქტიკაში სხვა პრობლემები წარმოშვა და ამიტომ შემოგთავაზეთ ჩემი წინადადებები განსახილველად. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, თქვენი კრიტიკა, ერთნაირად გვეხება ყველას - მეც, კომისიის სხვა წევრებსაც და განხილვაში მონაწილე სკოლების პედაგოგებსაც.

არის შემთხვევები, როდესაც ფურცელზე გადატანილი კეთილი მიზანი იძლევა უარყოფით უკუკავშირს. და საერთოდ, მიმაჩნია რომ, მეტი დაკვირვებით და გააზრებით უნდა გადავწყვიტოთ მასწავლებლისათვის ვალდებულებების დაკისრების საკითხი.

ჩვენთვის ჯერ უცნობია „ახალი სკოლის მოდელით“ გათვალისწინებული მასწავლებლის ვალდებულებები. ყველაფერი ახალი ძნელად მისაღებია. გარკვეული უკმაყოფილება გამოითქვა „ახალი სკოლის მოდელში“ ჩართული მასწავლებლების მხრიდანაც. ამ მიმართულებით დაწყებული აქვს მუშაობა ჩვენი ორგანიზაციის პროფესიული განვითარების ცენტრის წარმომადგენლებს. სამწუხაროდ, არ მიგვიღია მონაწილეობა „ახალი სკოლის მოდელის“ პროექტის განხილვაში. შესაბამისად, ამ ეტაპზე, საკითხის ძირეული შესწავლის გარეშე, თავს ვიკავებთ ანალიზისა და კომენტარებისგან. გთხოვთ, „ახალი სკოლის მოდელში“ მონაწილე სკოლების მასწავლებლებს, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები და წინადადებები, რა ფორმითაც გსურთ**!**

მოგიწოდებთ კოლეგებო, დამნაშავეების ძებნის სანაცვლოდ, მეტი აქტიურობა გამოვიჩინოთ სხვადასხვა პროექტების განხილვის დროს, რაც მიმდინარეობს სკოლებში და დროულად მოგვაწოდოთ თქვენი კრიტიკული შენიშვნები, რეაგირებისათვის.

ნუ გამიგებთ ისე, რომ შევცვალე ჩემი პოზიცია. ვითხოვთ პროფესიული ვალდებულებების ვადები შეცვლას და ცალკეული ნორმების დაკონკრეტებას.

ვიყავი, ვარ და ვიქნები თქვენი ინტერესების დამცველი**!**

პ.ს. ერთი თვეც არ არის გასული, რაც მოსწავლე და მასწავლებელი დაუბრუნდა სკოლას და სწავლა-სწავლებისა და რეალური, საგაკვეთილო პროცესის ჩვეულ კალაპოტში გადატანას დიდი დრო და ძალისხმევა დასჭირდება. არც კორონა ვირუსის მესამე ტალღისგან ვართ დაცული, როგორ ეს გვაჩვენა ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში ეპიდემიოლოგიური ვითარების გამწვავებამ და შესაბამისად, სკოლების ხელმეორედ დახურვამ. სასწავლო წლის დასრულებამდე ძალიან მცირე დროა დარჩენილი. ამიტომ უნდა ვიმსჯელოთ მასწავლებელთა პროფესიული ვალდებულებების გადავადების თაობაზე.
ალბათ, კორონავირუსით გამოწვეულმა სტრესმა და სხვა პრობლემებმა, ისევე როგორც ყველაზე, ბევრ პედაგოგზეც იმოქმედა უარყოფითად, ობიექტურობის დაცვის თვალსაზრისით“, - აღნიშნულია პროფკავშირების მიერ გავრცელებულ მიმართვაში.